 ასწორებს („ზალატაია“), მეთოდურად სუსტად მასწავლებლის მიერ
 ჩატარებული გაკეთილები. ანალოგიური მდგომარეობაა II-IV კლა-
 სებშიც (მასწავლებელი პ. მაჭავარიანი). არადამაჯმაყოფილებლად
 მუშაობს აგრეთვე IV კლასის მასწავლებელი ლამარა ოქრომჭედ-
 ლიძე. ამ კლასში დაბალია წერის კულტურა, მოსწავლეთა ნაწე-
 რებში საქმიადა დაშვებული ენობრივი ხასიათის შეცდომები,
 ბევრი მათვანი მასწავლებლის მიერ შეუმჩნეველია.

სუსტად აღმზრდელ-მასწავლებელთა მუშაობა. დღის მეორე
 ნახევარში მეცადინეობისათვის განკუთხნილი დრო დირექტორის
 მეთვალყურეობისა და კონტროლის გარეშე მიმდინარეობს, რის

გამო მოსწავლეთა დიდ ნაწილს შეუსრულებელი რჩება დაფარისა, შემოწმებისას საშინაო დაგალებისათვის გათვალისწინებული დოკუმენტის დამთავრების შემდეგ IV კლასის მოსწავლეთა ნაწილს უსრულებელი ტიკაზი შეუსრულებელი პქონდა დაგალება, ნაწილს კამპუნიტურული შეცდომებით პქონდა ამოსსნილი; V კლასის 30 მოსწავლილან დაგალება 9 ბავშვის პქონდა შეუსრულებული, გეოგრაფიაში მიცემული დაგალება კი ერთმა მოსწავლემ იცოდა; VI კლასის მოსწავლებს ქართულ და რუსულ ენებში დაგალება არ შეუსრულებით.

სუსტია მასწავლებელთა და აღმზრდელ-მასწავლებელთა შორის ურთიერთხავშირი, ისინი ერთმანეთის მუშაობას არ იცნობენ და არ ატარებენ ერთობლივ ღონისძიებას მოსწავლეთა სწავლა-აღზრდის საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად.

სუსტია მატერიალური ბაზის გამო სწავლება თვალსაჩინოების გარეშე მიმდინარეობს; მოუწყობელია კაბინეტები, ინტერნატის არა აქვს თვალსაჩინო ხელსაწყო-იარაღები, რუკები, I-II კლასებისათვის დაფები დაუხახვია და სხვ.

გასული სასწავლო წელი სკოლა-ინტერნატმა მაღალი აკადემიური მაჩვენებლებით დაამთავრა, ინტერნატის ყველა იღსასრული შემდეგ კლასში გადავიდა და საქმიოდ შევრი ცო ხუთოსანთა და ოთხოსანთა რიცხვი, ზაგრამ ამჟამად მოსწავლეთა დიდი ნაწილი ცერ ასწრებს და უწიგნურობას აზრავნებს, რაც იმის შედეგია რომ სკოლა-ინტერნატი თანმიმდევრულად და საცურვლიანად არ ახორციელებს საჭირო ღონისძიებას მოსწავლეთა მტკაცე და მყარი ცოდნის შისალწევად. პედაგოგიურ საბჭოს სსდომებზე მიღებული დადგენილებები ზოგადია.

სკოლა-ინტერნატში დაწყებითი კლასის მასწავლებელთა და აღმზრდელთა მეთოდგაერთიანებას მუშაობა ჯერ არ დაუწყია და სამუშაო გეგმაც არ შეუდგენია, მეთოდური მუშაობა არ წარმოებს კლასის მასწავლებელთა შორისაც; კლასის ხელმძღვანელთა და აღმზრდელთა სამუშაო გეგმები ერთფეროვანია, ზოგიერთი შათვანის (ვ. ავალიშვილი) ჯეგმა კი უწიგნურად არის შედეგნილი.

სკოლა-ინტერნატი ღარიბია შაგარი და რბილი ინერტარით, განსაკუთრებით შეიმჩნევა სასადილოს ჭურტლის ნაკლოვანება, არ აქვთ საკმაო რაოდენობით ჭიქები, მოსწავლეები პურზე კარაქს ხელით, ან კოვზით უსვამენ; ინტერნატს საკმაო რაოდენობით აქლია პატარა კარადები საძინებელ ოთახებში, ხოლო დიდი კარადები აღსასრულებების ტანსაცმლის გასახდელ ოთახში, ამის შედეგად ტანსაცმელი ზოგჯერ უსისტემოდ ყრია საწოლებზე.

ინტერნატი იშვიათად ატარებს ექსკურსიებს, მხატვრულ და-

ლა-სალამოებს, არ ეწყობა ლირსშესანიშნავი თარიღების აღნიშვნა, გამოჩენილ აღამიანებთან ზესვედრა და სხვ. არაა შექმნილი საბობრივი წრეები და სპორტული სექციები.

სუსტია აღსაზრდელთა სამედიცინო მომსახურება. ურთისეულობა შრატზე მომუშავე ექიმი კვირაში ერთი-ორჯერ თუ შეგვიძლიულია ტერნატში და თავისი საქმე მთლიანად მინდობილი აქვს ექთანი-სათვის, რომელიც ძალზე სუსტად მუშაობს. არ წარმოებს აღსაზრ-დელთა სამედიცინო შემოწმება, უმეთვალყუროდ არიან მიტოვებუ-ლი იყადმოფი ბავშვები და სხვ. 29 სექტემბერს ერთ-ერთი იყად-მყოფი აღსაზრდელი არ იყო მოთავსებული ინსლატორში.

არადამაქმაყოფილებელია აღსაზრდელთა კვება. ყოველ მეორე დღეს აღსაზრდელებს უხორუო კერძები ეძლევათ. მიმდინარე წლის 2 სექტემბრიდან 25 დღის განმავლობაში აღსაზრდელებს დააკლ-დათ 113 კგ მავარონი, 748 კგ ბოსტნეული, 284 კგ ხილი, 884 ლიტრი რეე და სხვ. ინტერნატს კვერცხი სრულებით არ მიუღია.

სკოლა-ინტერნატში ზოგჯერ იყენებენ ჰელავოგიურად გაუ-მართლებელი დასჯის მეთოდებს. მიმდინარე წლის 27 სექტემბერს პ/შ მორიგე აღმზრდელმა ე. ბუაჩიძემ V-VI კლასის აღსაზრდელებს დილის საუშებე არ მისცა იმის გამო, რომ ისინი დილის გამაშენე-ვებელ ვარჯიშე სპორტული ფორმით არ გამოცხადდენ.

სკოლა-ინტერნატს მიმე პირობებში უხდება მუშაობა. მშენე-ბლობა არაა სრულყოფილად და ხარისხოვნად შესრულებული, კეთილმოწყობის სამუშაოები შენობის ექსპლოატაციაში გადაცემის შემდეგაც არაა დამთავრებული, დაუმთავრებელია სასადილოს კორ-პუსის სამუშაოები, საძინებელი კორპუსი შეულესავია და მისი გა-რე კიბეები მოუწყობელი; მოუწყობელია აკრეთე დამშარე ნაერ-ბობა, რომელიც გათვალისწინებული იყო მასწავლებელთა საცხოვ-რებელ სახლად; დღემდე მოუვევარებელია წყლისა და ელექტრო-ენერგიის რეგულარულად მიწოდება. არაა გადამჭრელი ზომები მიღებული ინტერნატის ტერიტორიაზე ნიაღვის შექრის შედევრად დაზიანებული შენობების აღსაღვენად და სათანადო სამუშაოების დასამთავრებლად.

არადამაქმაყოფილებია ზესტაფონის რაიონის განათლების კანკულინების ხელმძღვანელობა და კონტროლი სკოლა-ინტერნა-ტის მუშაობაზე.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. კიცხის სკოლა-ინტერნატის დირექტორმა ამხ. გ. ქალან-დაძემ:

ა) სისტემატური ხელმძღვანელობა და კონტროლი განახორ-

ცილიოს მასწავლებელთა, აღმზრდელთა და ქლასის ხელმძღვანელთა მუშაობაზე და მიაღწიოს მათ ერთობლივ და შეთანხმებულ შაობას;

ბ) გააუმჯობესოს მეთოდური ზედამხედველობა ინციდენტების მუშაქებზე, გულასისით განიხილოს აღმზრდელ-მასწავლებელთა სამუშაო გეგმები და მათთან სისტემატური მეთოდური თათბირების ჩატარებით უზრუნველყოს ამ საქმეში არსებული ნაკლის გამოსწორება;

გ) განსაკუთრებული ყურადღება მიიქციოს დღის მეორე ნახევარში აღსაზრდელთა მეცალინეობის სათანადო სიმაღლეზე ჩატარებას, ხშირად შეამოწმოს აღმზრდელ-მასწავლებელთა მუშაობა ამ შიმართულებით და შემჩნეულ ნაკლა გამოსწორების მიზნით დასახოს კონკრეტული ღონისძიებანი;

დ) მტკიცედ დაიცვას დღის რეეიბით გათვალისწინებული დრო და ჩასატარებელ სამუშაოთა სახეები და არ დაუშევს მისი თვითნებურიად დარღვევა;

ე) საფუძვლიანი და შეისწავლოს მოსწავლეთა აკადემიური ჩამორჩენილობის მიზეზები და ქმედითი ღონისძიებების გატარებით უზრუნველყოს ამ საქმეში არსებული ნაკლის გამოსწორება;

ვ) გაატაროს ყველა საჭირო ღონისძიება ინტერნატის სასწავლო-მატერიალური ბაზის განსამტკიცებლად, უმოკლეს დროში უზრუნველყოს სწავლების თვალსაჩინოებისათვის აუცილებელი საჭირო ხელსაწყო-იარაღების, რუკების, დიდაქტიკური მასალისა და სხვათა შეძენა;

ზ) განსაკუთრებული ყურადღება მიიქციოს აღსაზრდელთა კვებას, სამედიცინო მომსახურებას და უზრუნველყოს კვების პროცესების შეუფერხებელი მომარაგება.

2. კაპიტალური მშენებლობის განყოფილებამ (ამბ. ა. ღადუა) მიმდინარე წლის 15 ნოემბრამდე შეისწავლოს კიცხის სკოლა-ინტერნატის მშენებლობისა და ნიაღვრის შედეგად გამოწვეული დამატებით ჩასატარებელი სამუშაოების შესრულების მიმდინარეობა და პრაქტიკული ღონისძიებების შედეგების შესახებ მომახსენოს მ/წლის 1 დეკემბრამდე.

3. მომარაგებისა და დამხმარე წარმოებათა სამხართველომ (ამბ. ს. არველაძე) შეისწავლოს კიცხის სკოლა-ინტერნატის კვების პროცესებით, მაგარი და ობილი ინცენტარით უზრუნველყოფის საკითხით და შემოწმების შედეგები მომახსენოს ა/წლის 10 ნოემბრამდე.

4. დაევალოს ზესტაფონის რაიონის განათლების განყოფილების გამგეს ამს. გ. კიქნაძეს:

ა) გადასინჯოს სკოლა-ინტერნატის კადრების შემადგენლობა და სუსტად მომუშავეენი გაათავისუფლოს სამუშაოდან ქათამიშვილის წესის დაცვით.

ბ) 2 კვირით მიამაგროს სასკოლო ინსტეტორი ინტერნატს აღვილებ პრაქტიკული დახმარების გაწყვეტის მიზნით.

5. მიღებული იქნას ცნობად, რომ აღმზრდელ-მასწავლებელს ამს. ენდი ბუაჩიძეს, რომელმაც მორიგეობის დროს გამოიყენა სასჯელის არაპედაგოგიური ზომა, სკოლა-ინტერნატის დირექტორის მიერ დადებული აქვს სასჯელი.

6. სკოლა-ინტერნატის სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობასა და სამეურნეო-საფინანსო საქმეებზე სუსტი კონტროლისა და ხელმძღვანელობისათვის გამოეცხადოს საყვედური კიცხის სკოლა-ინტერნატის დირექტორს ამს. გ. კალანდაძეს და გაფრთხილებულ იქნეს, რომ თუ უმოკლეს დროში არ უზრუნველყოფს სკოლა-ინტერნატის მუშაობაში არსებული სერიოზული ნაკლოვანებების გამოსწორებას, იგი მოიხსნება თანამდებობიდან.

7. სკოლა-ინტერნატებისა და საბაგშვი სახლების სამმართველომ (ამს. გ. ჩინჩალაძე) მიმდინარე წლის 15 დეკემბრისათვის წარმოუდგინოს კოლეგიას მოხსენებითი ბარათი ამ ბრძანების შესრულების მდგომარეობის შესახებ.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1963 წლის 25 ოქტომბრის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების

მინისტრი თ. ლაშქარაშვილი

აცხადეთისა და აჭარის ასერ განათლების მინისტრმა ს.
 სამხრეთ-ოცენის ავტონომიური ოლქის, რაიონებისა
 და ქალაქების სახალხო განათლების განვითარებათა
 გამზიშას

28/X 1963 წ.

№ 1/2589

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 27 სექტემბრის № 2008 განკარგულების შესაბამისად, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ ა/წლის 8 ოქტომბრის № 1434 განკარგულებით წება დართო საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტს 1963 და 1964 წლებში, როგორც გამონაკლისი, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომების წარდგენით პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში მიიღოს ის მოსარდები (უპირატესად 16 წლის ასაკის ზევით), რომლებსაც არ აქვთ 8-წლიანი განათლება.

გაცნობებთ რა ამას, გავალებთ გაატაროთ საქირო ღონისძიებანი პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში ჩაბმული რვაწლიანი განათლების არმქონე ახალგაზრდებისათვის საღამოს (ცელის) ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში სწავლის გასაგრძელებლად საჭირო პირობების შესაქმნელად.

საქართველოს სსრ განათლების
 მინისტრი თ. ლაშქარაშვილი

საქართველოს სსრ განათლების ხამინისტროს 1963
 წლის 10 ნოემბრის ბრძანება № 982/ქ

მასწავლებელთა კადრების შერჩევის, გამოყენებისა და აღზრდის
 გაუმჯობესების ღონისძიებათა შეხახებ

სახალხო განათლების სისტემის წინაშე პარტიის XXII ყრი-
 ლობისა და სკეპ ცენტრალური კომიტეტის ინიციატივის პლენუმის გა-
 დაწყვეტილებებით დასახული დიდი და ოთული ამოცანების წარ-
 მატებით განხორციელებაში სპარაიო როლი ეკუთვნის სახალხო
 მასწავლებელს. ამასთან დაკავშირებით კიდევ უფრო მაღლდება
 პასუხისმგებლობა მასწავლებელთა კადრების შერჩევისა და სწორი დ
 გამოყენების საქმეში.

უკანასკნელ წლებში საგრძნობლად გაუმჯობესდა რესპუბლი-
 კის სკოლების დაკომპლექტება მასწავლებელთა მაღალქვალიფი-
 ცური კადრებით. 1962—1963 სასწავლო წელს რესპუბლიკის 1086
 საშუალო, 1256 რვაწლიან და 1088 დაწყებით სკოლებში მუშაობ-
 და 59497 მასწავლებელი, მათ შორის უმაღლესი განათლებით იყო
 32489 კაცი (55%). 1963 წელს რესპუბლიკის სკოლებს შემატა
 1500-ზე მეტი უმაღლესდამთავრებული ახალგაზრდა სპეციალისტი.
 მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა სკოლების ხელმძღვანელთა ხარის-
 ხობრივი შემადგენლობა. საშუალო სკოლის დირექტორთა საერთო
 რაოდენობის 99,4% და რვაწლიანი სკოლების დირექტორთა სა-
 ერთო რაოდენობის 96,4% უმაღლესი განათლების მქონეა.

რესპუბლიკაში დროულად განხორციელდა ღონისძიებანი
 დაწყებითი კლასებისათვის მაღალქვალიფიციური მასწავლებების
 მოსამართებლად უმაღლესი პედაგოგიური სასწავლებლების სპეცია-
 ლურ ფაქულტეტებზე.

ტარდება რიგი ღონისძიებებისა მასწავლებელთა და განათ-
 ლების დარგის სხვა მუშაკთა კვალიფიკაციის ასამილებლად, მას-
 წავლებელთა დახელოვნების ინსტრუქტის ხაზით ყოველწლიურად
 წარმოებს 5 ათასამდე მასწავლებლისა და განათლების დარგის
 სხვა მუშაკის გადამზადება. ადგილებზე მეთოდური დახმარების გა-

შევის მიხნით სისტემატურად ტარდება სხვადასხვა სახის სემენა-
რები.

ყოველწლიურად იზრდება იმ მასწავლებლებისა და პედაგო-
გიური კოლექტივების რიცხვი, რომელიც მაღალ მეცნიერულ დოკუ-
მენტაციურ ნივთებით მოსწავლებისა და სწორად წყვეტენ მწარმოებ-
ლურ შრომასთან სწავლების შეერთების ამოცანებს.

ამასთან ერთად, მასწავლებელთა კადრების შერჩევის, გამო-
ყენებისა და აღზრდის საქმეში ადგილი აქვს რიგ ნაკლოვანებებს.

ბევრი სოფლის სკოლა ჯერ კიდევ არ არის უზრუნველყო-
ფილი კვალიფიციურ მასწავლებელთა კადრებით, მაშინ, როდესაც
ზოგიერთი სპეციალობის მქონე მასწავლებლების ერთგვარი სიჭარ-
ბე შეიმჩნევა ქალაქ ადგილებში. უმაღლესი პედაგოგიური სასწავ-
ლებლის ზოგიერთი კურსდამთავრებული არ ცხადდება სამუშაოზე.
1963—1964 სასწავლო წლისათვის სკოლებში სამუშაოდ განაწილე-
ბულ 1774 ახალგაზრდა სპეციალისტიდან 270 არ გამოცხადებულია
სამუშაოზე.

ადგილებშე ჯერ კიდევ ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა მას-
წავლებელთა და განათლების დაწესის სხვა მუშაკთა კვალიფიკაცი-
ის ამაღლების საქმეს (გეგემქორის, ლენტეხის, თიანეთის, ყაზბეგი-
სა და სხვა რაიონები).

ზოგიერთი განათლების ადგილობრივი ორგანო არ ატარებს
სისტემატურ მუშაობას სკოლებში მომუშავე უმაღლესი განათლე-
ბის არმქონე მასწავლებელთა ჩასაბმელად დაუსწრებელ სწავლება-
ში, არ უწევს საჭირო დახმარებას და კონტროლს დაუსწრებელ
და საღამოს სწავლებაში ჩაბმულ მასწავლებლებს.

სერიოზული ნაკლოვანებებია მასწავლებელთა თვითგანვითა-
რების ორგანიზაციის საქმეში. განათლების განყოფილებები და
სკოლების ხელმძღვანელები ცუდად ეხმარებიან მასწავლებლებს მე-
ცნიერულ-პედაგოგიური ცოდნის ამაღლებისათვის დამოუკიდებელ
მუშაობაში, პედაგოგიური დაოსტატების სრულყოფაში. ჯერ კიდევ
სუსტად სწარმოებს მოწინავე სკოლებისა და მასწავლებლების გა-
მოცდილების გაერცელება-დანერგვა.

არის შემთხვევები, როდესაც მასწავლებელთა დანიშნა-გან-
თავისუფლების დროს ირლევა არსებული წესი (ახალციხის დუ-
შეთისა და სხვა რაიონები). ზოგიერთი განათლების ორგანოსა და
სკოლის ხელმძღვანელი არ ზრუნავს სკოლაში მომუშავე მასწავლე-
ბლების ნორმალური სასწავლო დატვირთვისათვის, ზოგჯერ სას-
წავლო წლის განმავლობაში აზღენს მასწავლებელთა დატვირთვის

გადანაშილებას, რაც ხშირად სკოლის ინტერესებიდან არ გამოიყოფა, დანარეობს. ჯერ კიდევ ადგილი აქვს მასწავლებელთა და ლების დარგის სხვა მუშაյთა სამუშაოდან დათხოვნის და კუთხულებულის დროს შრომის კანონმდებლობის დარღვევის ცალკეულ მუშაობაზე ტებს.

ჩესპუბლიკის ბევრ რაიონში არადამაქმაყოფილებლად სრულ-დება მთავრობის დადგენილება სოფლის მასწავლებელთათვის შე-ლავათებისა და უპირატესობათა შესახებ, რაც ხელს უშლის პედა-გოგიური კადრების ადგილზე დამაგრებას. ბევრგან სოფლის სკო-ლის მასწავლებლებს ადგილობრივი საბჭოები არ უზრუნველყოფენ უფასო ბინით, განათებით, გათბობით და სხვ. განათლების ადგი-ლობრივი ორგანოები კი სუსტად ხორციელებენ კონტროლს მას-წავლებელთა შეღავათებისა და უპირატესობების შესახებ არსებული და დგენილების შესრულებაზე, არ აყენებენ საკითხებს ამის შესახებ ჰემდგომ პარტიულ და საბჭოთა ორგანოების წინაშე.

მასწავლებელთა კადრებთან სახალხო განათლების ორგანოე-ბის სუსტი მუშაობის შედევგად, ბევრ სკოლაში სასწავლო-აღმზრ-დელობითი მუშაობა ჯერ კიდევ დაბალ დონზე მიმღინარეობს, სუსტად ხორციელდება სწავლისა და აღზრდის კავშირი ცხოვრე-ბათან, კომუნისტური მშენებლობის ამოცანებთან; არასაკმაო მუ-შაობა წარმოებს მეორეწლიანობის აღმოფხერისა და საყოველთაო საყალდებულო სწავლების განმორციელებისათვის.

საქართველოს კაც ცენტრალური კომიტეტის პლენუმში, რომე-ლიც 1963 წლის 3 ოქტომბერს ჩატარდა, განიხილა რა საკითხი, თუ როგორ ისრულებენ ჩესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციები პარტიის XXII ყრილობის გადაწყვეტილებებს კადრების შერჩევის, განაწილებისა და აღზრდის გაუმჯობესების შესახებ, მოითხოვა აღმოფხერილი იქნას სერიოზული ნაკლოვანებანი ამ საქმეში და მიღწეულ იქნას ჩესპუბლიკის სახალხო მეურნეობის გადამწყვეტი უბნების განვრცილება გამოცდილი, კვალიფიციური მუშაკებრთ, რომელსაც შესწევთ უნარი წარმატებით გადაწყვიტონ კომუნის-ტური მშენებლობის უმნიშვნელოვანები ამოცანები.

აღნიშნულიდან გამომდინარე ვ გ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ზუხაზეთისა და აჭარის ასარ განათლების მინისტრებმა, სამსახურთ ისეთის ავტონომიური ოქების, ქალაქებისა და რაიონე-ბის განათლების განყოფილებათა გამგებებმა:

ა) აღმოფხერან ნაკლოვანებანი კადრებთან მუშაობაში, მიი-ღონ ზომები კადრებთან მუშაობის არსებითად გაუმჯობესებისათ-ვის პარტიის XXII ყრილობისა და სკუპ ცენტრალური კომიტეტის

ინისის პლენუმის გადაწყვეტილებების მოთხოვნილებათა შესახებ
მისად;

ბ) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ სკოლების მიზანების
კვალიფიციურ მასწავლებელთა კადრებით დაკომპლექტება, კულ-
ტურული მიზანების სწორად განაწილებისა და გამოყენების, მასწავლებელთა
გაქვეთილებით ნორმალურად დატეინროვის საქმეს; აღკვეთონ მას-
წავლებელთა კადრების ცვალებადობის ხშირი შემთხვევები სასწავ-
ლო წლის მანძილზე და მათ შემადგრნლობაში საჭირო ცელილებე-
ბის შეტანა, როგორც წესი, მოახდინონ სასწავლო წლის დამთავ-
რების შემდეგ;

გ) ზუსტიად დაიცვან ნომენკლატურულ თანამდებობაზე მუშაკ-
თა დანიშვნისა და სამუშაოდან განთავისუფლების წესი, არ და-
უშვან სამუშაოზე სკოლის მუშაკთა დანიშვნა ან განთავისუფლება
სათანადო ბრძანების გარეშე;

დ) საჭირო ზომები მიიღონ მასწავლებელთა კადრების აღვილ-
ზე დასამაგრებლად, მეტი ზრუნვა გამოიჩინონ მასწავლებლებისათ-
ვის სათანადო საბინაო-საყოფაცხოვრებო პირობების შესაქმნელად;
აღვილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოების დახმარებით
უზრუნველყონ განათლების მუშაკთათვის მთავრობის მიერ დადგე-
ნილი ყველა შეღავათისა და უპირატესობის აუცილებელი და დრო-
ული შესრულება;

ე) გააუმჯობესონ კულტურულ-მასობრივი მუშაობა მასწავლე-
ბლებთან, განსაკუთრებით სოფელ აღვილებში, წარმართონ იგი
სკოლის ამოცანებთან მშეიძრო კავშირში; მასწავლებელთათვის სის-
ტემატურად ჩატარონ ლექციები და მოხსენებები სკეპ ისტორიას,
სწავლა-აღზრდის აქტუალურ საკითხებზე, მეცნიერების და ტექნი-
კის მიღწევებზე;

ვ) სისტემატური კონტროლი გაუწიონ დაუსწრებელ სწავლე-
ბაზი ჩაბმულ მასწავლებლებს მათ მიერ სასწავლო გეგმების წარმა-
ტებით შესრულებაზე, ყოველმხრივ შეუწყონ ხელი სწავლებაში და
არ დაუშვან სკოლების დირექტორების მიერ მათი ზედმეტი დავა-
ლებებით გადატვირთვა; მეტი ყურადღება დაუთმონ მასწავლებელ-
თა თვითგანვითარებით მუშაობას, მიაღწიონ იმას, რომ იგი გახ-
დეს კვალიფიკაციის ამაღლების ძირითადი ფორმა; სახალხო განა-
თლების და სკოლების პედაგოგიური საბჭოების სხდომებზე სისტე-
მატურად განიხილონ მასწავლებელთა თვითგანვითარებისა და ამ
მუშაობაში დახმარების გაწევის საკითხები;

ზ) სოფლის სკოლების აღვილობრივი კადრებით უზრუნველ-
ყოფის მიზნით აქტიური მონაწილეობა მიიღონ პედაგოგიური ინ-

სტიტუტების სათანადო მონაცემების მქონე ახალგაზრდებით დაკომპლექტების საქმეში;

თ) არსებითად გააუმჯობესონ მუშაობა მოწინავე პედაგოგური გამოცდილების შესწავლა-გავრცელებისათვის; ფართოდ განვითაროთ სკოლების მუშაობის პრაქტიკაში იმ მასწავლებლებისა და მედაგოგიური კოლექტივების გამოცდილება, რომლებმაც მიაღწიეს მაღალ მაჩვენებლებს მეორეწლიანობის აღმოფხვრის, მოსწავლეთა ცოდნის დონის ამაღლებისა და საყოველთაო-სავალდებულო სწავლების განუხრელად განხორციელებაში;

ი) ძირულად გააუმჯობესონ სკოლების ინსპექტორება, ფართოდ ჩააბან ამ საქმეში საზოგადოებრივ ინსპექტორთა და მეთოდისტთა აქტივით. აამაღლონ სკოლების ხელმძღვანელთა ბასუნის-მგებლობა სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესებისა და შეგნებული დისკიპლინის განმტკიცებაში;

იზტუნონ სკოლის ხელმძღვანელთა შემადგენლობის გაუმჯობესებისათვის; სკოლის დირექტორებად და სასწავლო ნაწილის გამგებად დააწინაურონ სათანადო განათლებისა და გამოცდილების მქონე მუშაკები, რომლებიც მაღალი ავტორიტეტით სარგებლობენ მასწავლებელთა ზორის და რომლებსაც შესწევთ უნარი ჯეროვან სიმაღლეზე წარმატონ პედაგოგიური კოლექტივების მუშაობა სკოლის წინაშე მდგომი ახალი ამოცანების წარმატებით განხორციელებისათვის;

კ) გაატარონ ქმედითი ზომები, სოციალისტური საკუთრების განიავების, სამეურნეო-ფინანსურ დარღვევათა და თანხების არაკანონიერი ხარჯების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ* და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1963 წლის 24 სექტემბრის № 843 ბრძანებით დასახულ ღონისძიებათა განუხრელად შესრულებისათვის.

2. მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტმა (თ. ზახაშვილი) გააძლიეროს მუშაობა მასწავლებელთა დახელოვნების საქმეში პარტიის XXII ყრილობისა და ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებათა შუქშე.

3. კადრების განყოფილებამ (ი: კვაჭაძე) გააძლიეროს მომთხოვნელობა განათლების იდგილობრივი ორგანოებისადმი მასწავლებელთა კადრების შერჩევის, გამოყენებისა და აღზრდის საქმეში; მიიღოს ზომები რესპუბლიკის სკოლების დასაკუმბლებელებლად მაღალკალიფიციური კადრებით; საჭირო კონტროლი დააწესოს მასწავლებელთა კადრების დანიშვნა-განთავისუფლების შესახებ არსებული წესის განუხრელად განხორციელებაშე.

4. განათლების სამინისტროს სამმართველოებისა და განყოფილებათა უფროსებმა გააძლიერონ კონტროლი სამმართველოს განყოფილებათა თანამშრომლების მუშაობაზე, მიაღწიონ მიასახოდისინი პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობით ეკიდებოდნენ ზემდებრების მინდობილ საქმეს.

5. ეს ბრძანება განხილულ იქნას აფხაზეთისა და აქარის ასამ განათლების სამინისტროების კოლეგიების, სამხრეთ ოსეთის აკტონომიური ოლქის, ქალაქებისა, რაიონების სახალხო განათლებისა და სკოლების პედაგოგიური საბჭოების სხდომებზე. დასახულ იქნას ღონისძიებაში მასწავლებელთა კადრებთან მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1963 წლის 1 ნოემბრის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი თ. ლაშქარაშვილი

• ფრანგული მნის პროგრამა

ზოგიერთი საგნის უცხო ენაზე სწავლების ხელდებისათვის
 (II—XI კლასები)

განვირობების ბარათი

ამჟამად, როდესაც იზრდება და ფართოედება ურთიერთქავ-
 შირი ჩვენს ქვეყანასა და სხვა ქვეყნებს შორის, სახელმწიფოს ესა-
 კიროება ისეთი აღამიანები, რომლებიც თავისუფლად ფლობენ
 უცხო ენებს და შესძლებენ სკოლის დამთავრების შემდევ სახალხო
 მეურნეობის სხვადასხვა დარგში თავისი ცოდნის გამოყენებას.

ისეთ სკოლებში, სადაც რიგი საგნების სწავლება უცხო ენა-
 ზე სწარმოებს, ენის სწავლების მთავარი მიზანი იმაში მდგომარე-
 ობს, რომ მომზადდნენ მოსწავლეები, რომლებიც თავისუფლად
 დაცულებიან ერთ უკხო ენას, საქმიოდ ღრმად გაეცნობიან ამ
 ენაზე მოლაპარაკე ხალხის ისტორიას, გეოგრაფიას, პოლიტიკურ
 წყობას, და ასევე მის ლიტერატურასა და კულტურას.

სკოლაში მთელი რიგი საგნების უცხო ენაზე სწავლების შე-
 დეგად მოსწავლეებმა უნდა შესძლონ:

1. უცხო ენაზე თავიანთო აზრის თავისუფლად გამოთქმა, წი-
 ნასწარ მოუმშადებლად საუბრის ჩატარება, უცხო ენაზე მოხსენე-
 ბების გაკეთება და ამიցე დროს დიალექტური გადახრების გარეშე
 მოლაპარაკე უცხოელის საუბრის არსის გავება.

2. ლექსიკონის დაუხმარებლად წაიკითხონ. და გაიგონ თანა-
 მედროვე, სტილისტურად არართული ტექსტები, საშეცნიერო-პო-
 პულარული, საზოგადოებრივ-პოლიტიკური და მხატვრული ლიტე-
 რატურა.

3. ლექსიკონებისა და განმარტებითი ლექსიკონის დახმარებით
 წაიკითხა, გაგება და წერილობით თარგმნა ლიტერატურული ნაწი-
 რმოების ორიგინალისა, აგრეთვე სამეცნიერო-პოპულარული და სა-
 ზოგაულებრივ პოლიტიკური ტექსტებისა.

4. მშობლიურ და უცხო ენებზე ზოგიერთი წყაროების დამო-
 უკიდებლად შესწავლის შედეგად რეფერატის უცხო ენაზე შედგენა.

5. თარჯიმნობა ორი პირის ურთიერთ საუბრისას, რომელიც დაახლოებით შესწავლილ თემებს შეეხება.

იმისათვის, რათა მოსწავლეები წარმატებით დაეუფლონ უცნებელი ენას, საჭიროა მჟიდრო ურთიერთკავშირი ენაში სხვადასტერენის გრამატიკაში გამოიყოს რამდენიმე საათი ზოგიერთი სახის ენობრივი სამუშაოებისათვის. მაგ., იმ საათების რაოდენობიდან, რომელიც განკუთვნილია ენის შესასწავლად, გამოიყოფა საათები სპეციალიზირებული სალაპარაკო პრაქტიკისათვის, შესასწავლი ენის ქვეყნების ლიტერატურაში სამეცადინოდ და ასევე სკოლაში არსებული საწარმოო სწავლების შესაბამისი ტექნიკური შინაარსის ლიტერატურის ზეპირი და წერილობითი თარგმნისათვის.

ზეპირმეტყველებისათვის სპეციალური საათების გამოყოფა არ ნიშნავს იმას, რომ სხვა მეცადინეობის დროს ის სრულიად უნდა გამოვთიშოთ. ზეპირი გარჯიში წამყენ როლს ასრულებს ენაში ყველა სახის მეცადინეობისას. სპეციალური საათების გამოყოფა იძლევა საშუალებას შეიქმნას უფრო კარგი პირობები ზეპარი მეტყველების გასავითარებლად, მაგ., უმცროს კლასებში სხვადასხვა სახის მოძრავი თამაშობანი, ინსტრუმენტებისათვის შზაღება, სიმღერების შესწავლა ტექნიკური საშუალებების (პატეფონის, ლინგაფონის, ალოსკოპის) გამოყენებით. უფროს კლასებში ექსკურსიების მოწყობა, კინოსურათების ნახვა, დისპუტები, კონფერენციები და სხვ.

შეძლებს კლასიდან თარგმნისათვის სპეციალური საათების გამოყოფა მიზნად ისახავს, რომ გაადვილოს დამოუკიდებელი მუშაობა შედარებით უფრო რთული ტექსტების თარგმნისას, რომელიც შემდგომში გამოყენებული იქნება უცხო ენაშე ისტორიის, გეოგრაფიის და ლიტერატურის შესწავლისას. ამავე დროს უნდა მოვამზადოთ მოსწავლეები ისე, რომ მათ შესძლონ ორენოვანი და განმარტებითი ლექსიკონების გამოყენება და ტექსტების ზუსტი გავება.

უცხო ენის სწავლების ყველა ეტაპზე მეცადინეობა ძირითადად უნდა მიმდინარეობდეს მოსწავლეების მიერ ზეპირმეტყველებაში სხვადასხვა სახის სავარჯიშოების შესრულებით.

შეცადინეობა ლექსიკებში, გრამატიკასა და ფონეტიკაში უნდა იქვემდებარეობდეს ზეპირმეტყველების დაუფლების ამოცანებს. ამიტომ ენობრივი მასალის შეთვისება და განმტკიცება უნდა მოხდეს ზეპირმეტყველების, კითხვისა და წერის უნარ-ჩვევების განვითარების პროცესში.



ზეპირმეტყველების დაუფლებისათვის საჭიროა სწავლების პირველივე წელს მოვაჩიოთ მოსწავლები თარგენის გარეშე: მათ გონ და გამოიყენონ ზეპირმეტყველებაში ის მასალა, რომელიც გათვალისწინებულია პროგრამით, ე. ი. ვასწავლოთ მათ უცხო ენაზე აზროვნება. ამისათვის აუცილებელია მეორე ქლასში I მეოთხე-დის ბოლოსათვის გაკვეთილი ტარდებოდეს მხოლოდ უცხო ენაზე, გარდა ისეთი შემთხვევისა, როცა საჭიროა ისეთი ახალი გრამატიკული ან ლექსიკური მასალის ახსნა, რომლის მნიშვნელობის გა-გიძა შეუძლებელია თვალსაჩინო მასალის ან კონტექსტის, საუკუ-ვლზე.

უცხო ენაზე გაკვეთილის ჩატარებისას მასწავლებელმა ძირი-თადად უკვე შესწავლილი მასალა უნდა გამოიყენოს; უმტროს კლა-სებში მას შეუძლია თავის მეტყველებაში გამოიყენოს ისეთი გა-მოთქმები, გრამატიკული ფორმები და კონსტრუქციები, რომელიც საჭიროა გაკვეთილის უცხო ენაზე ჩატარებისათვის, მაგრამ ამ კლასში შესასწავლ მასალას არ წარმოადგენს.

მნიშვნელოვანია აგრეთვე, რომ პირველი საში წლის მანძილ-ზე მასწავლებელმა ყურადღება გაამახვილოს თავის გამოთქმაზე, არ დაუშვას დიალექტური გადახრები და მიაღწიოს მყარ გამოთ-ქმას, ე. ი. არ მისცეს ერთი და იგივე ბეგერის სხვადასხვა გარიანტი.

სწავლების დასაწყისიდანვე მასწავლებელმა აუცილებლად უნ-და ილაპარაკოს ნორმალურ (და არა ნელ) ტემპში, შესასწავლი უცხო ენის რითმული ნორმების მქაცრად დაციით.

ზეპირმეტყველების განვითარებისათვის რეკომენდებულია დი-ალოგების, მოსწავლეთათვის გასაგები მხატვრული ლიტერატურის, ლექსების და პროზაული ნაწყვეტების დაზეპირება.

სწავლების დაწყებიდანვე ზეპირმეტყველების განვითარების აუცილებლობა მოითხოვს ზეპირმეტყველების, კითხეისა და წერის სწორ შეფარდებას სწავლების პირველ და მეორე წელს.

ზეპირმეტყველების სწავლება წინ უნდა უსწრებდეს კითხვას და წერის. ენის შესწავლის დაწყებით ეტაზზე მასწავლებელს შეუძ-ლია თავის შეხედულებისამებრ ჩატაროს მხოლოდ ზეპირმეტყვე-ლების კურსი, რომელიც საშუალებას იძლევა გავამახვილოთ მთე-ლი ყურადღება მოსწავლეებში ზეპირმეტყველების ჩვევებისა და სწორი გამოთქმის გამომუშავებაზე.

ამ კურსის ძირითად შინაარსს უნდა წარმოადგენდეს კარგად მოფიქრებული სავარჯიშოთა სისტემა ზეპირმეტყველებაში, რომე-

ლიც უზრუნველყოფს უფრო დიდი რაოდენობით სიტყვებისა და გამოთქმების შეთვისებას, ვიღრე ეს შესაძლებელია ზეპირმუტამ ლების, კითხვისა და წერის ერთდროულად სწავლებისას, და ამ მომენტების შეთვისებული ლექსიკისა და გრამატიკის აქტიურ გამოყენებისას გამომულ მეტყველებაში.

შემდგომ ქლასებში სახელმძღვანელოს ტექსტების წაკითხვას წინ უნდა უსწრებდეს შესატყვისი ენობრივი მასალის ზეპირი დამუშავება, სხვადასხვა თვალსაჩინო მასალის და ხმოვანი ტექნიკური საშუალებების ფართო გამოყენებით.

კ ი თ ხ ვ ა

ამ ტიპის სკოლაში კითხეის სწავლების მთავარი ამოცანაა შეცასწავლოთ მოსწავლებს ლექსიკონის გამოყენების გარეშე სტილისტურად არართული სამეცნიერო-პოპულარული, საზოგადოებრივ-პოლიტიკური და მხატვრული ლიტერატურიდან ამოღებული ახალი ცნობების შემცველი ტექსტების ზუსტი გაგება.

გარდა ამისა, მოსწავლეებმა უნდა შესძლონ სხვადასხვა სახის ლექსიკონების გამოყენებით ნებისმიერი ორიგინალური, მათ შორის ისეთი ტექნიკური ტექსტების წაკითხვა და გაგება, რომელიც დაკავშირებულია მათი საწარმოო სწავლების პროცესით.

კითხვის სწავლების შედეგად მოსწავლეებმა უნდა შესძლონ შესასწავლი ენაზე არსებული ლიტერატურის გამოყენება თავიანთი ზოგადი-და პოლიტიკური მსოფლიხედგელობის გასაფართოებლად და შესასწავლი ენის ქვეყნების ხალხთა ცხოვრებისა და კულტურის შესახებ ახალი ცნობების შესაძენად.

საკითხავ მასალად უნდა იყოს გამოყენებული არა მარტო სახელმძღვანელოში ან სპეციალურად დამოუკიდებელი კითხვისათვის გამოშევებულ წიგნებში მოცემული ტექსტები, არამედ თანამედროვე პროგრესული მწერლების ცალკეული ნაწარმოებები, სტატიები განხეთებიდან და უურნალებიდან, აგრეთვე ნაწყვიტები კლასიკური ლიტერატურიდან შესასწავლი ენის ქვეყნის ლიტერატურის შესაწავლისთან დაკავშირებით.

საკითხავი ტექსტები უნდა აშემებდეს როგორც საბჭოთა თემატიკას, ისე შესასწავლი ენის ქვეყნის ცხოვრებას, ზე-ჩვეულებებს, კულტურას, გეოგრაფიასა და ისტორიას. ისინი უნდა შეიცავდეს ისეთ ლექსიკის და სინტაქსურ კონსტრუქციებს, რომლებიც გამოყენებულია თანამედროვე უცხო ენაში.

იმ სკოლებში, სადაც რიგი საგნებისა უცხო ენაზე ისწავლებოდა /
ენის სწავლების ერთ-ერთ ამოცანას წარმოადგენს აგრეთვე შეცუმე
თი მეტყველების სწავლება. განვითარება

ამ ტიპის სკოლის მოსწავლეებს სწავლების კურსის ბოლო-
სათვის უნდა შეეძლოთ უცხო ენაზე საქმიანი წერილის (განცა-
დება, ოქმი, მოთხოვნა, მოწვევა და სხვ.) და რეფერატის დაწერა
იმ მასალის საფუძველზე, რომელიც მათ დამოუკიდებლად აქვთ
შესწავლილი უცხო და მშობლიურ ენებზე.

ამავე დროს წერა ენის დაუფლების მნიშვნელოვანი საშუა-
ლებაა, იგი ხელს უწყობს ენობრივი მასალის მტკიცედ შეთვისე-
ბას, ზეპირმეტყველების ცოდნა ჩეცვების განვითარებას. უცხო ენის
შესწავლის პირველ ეტაპზე წერის სწავლების ამოცანას შეადგენს
კალიგრაფიისა და ელემენტარული ორთოგრაფიის დაუფლება, ამი-
ტომ ამ ეტაპზე წერითი მეტყველება რამდენადმე ჩამორჩება მასა-
ლით ზეპირმეტყველებასა და კითხვას. შემდგომში განსაკუთრებუ-
ლი ყურადღება უნდა მიექცეს მოსწავლეთა მიერ შესასწავლ ენაზე
თავიანთი აზრის წერილობით გამოხატვას.

თ ე რ გ მ ნ ა

იმ სკოლებში, სადაც რიგი საგნები უცხო ენაზე ისწავლება,
მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს უცხო ენიდან დედაენაზე და
დედანიდან უცხო ენაზე თარგმნის სწავლება.

სწავლების მოლოდნათვის მოსწავლეებმა უნდა შესძლონ თარ-
ჯიმნობა ნაცნობი თემატიკის გარშემო საუბრის დროს, წერილო-
ბით თარგმნა ახალი ცნობების შემცველი ორიგინალური, საზოგა-
დოებრივ-პოლიტიკური და მეცნიერულ-პოსულარული ტექსტებისა
ორენოვანი და განმარტებითი ლექსიკონების დახმარებით.

ანიშნული მინების მისამწევად VI კლასიდან გამოიყოფა
სპეციალური გაკვეთილები, რომელიც განეკუთვნება თარგმნის
სწავლებას.

ამ შეცადინეობის პროცესში მოსწავლეები უნდა გაეცნონ
ორენოვან და განმარტებით ლექსიკონებს, უნდა ისწავლონ ჟათი
გამოყენება ტექსტზე მუშაობისას.

VIII კლასში რეკომენდებულია მოსწავლეები გაეცნონ ზოგი-
ერთ ცნობას თარგმნის თეორიიდან: თარგმნის დროს შეტკულე-
ბის ერთი ნაწილის მეორეთი შეცვლა, ტერმინების, შემოკლებული
ფორმების და სხვ. თარგმნა. ამ ცნობებმა უნდა დაანახეონ მოსწავ-

ლევბს საზოგადოებრივ-პოლიტიკური და მეცნიერულ-პოპულარული
ტექსტების თარგმნის სპეციფიკა, ხელი შეუწყონ თარგმნას ჩივა-
ბის ფორმირებას, რის გამოც ისინი შეთვისებულ უნდა იქნან როგო-
როდ პრაქტიკულად.

თარგმნის სწავლებისას მნიშვნელოვანი ადგილი უნდა დაიკა-
ვოს გარჯოშმა ზეპირად თარგმნაში. ეს სავარჯოშოები წარმოად-
გენერ ლექსიკასა და გრამატიკაში მიღებული ცოდნის განმტკიცე-
ბის საშუალებას. X—XI ქლასებში საჭიროა მოსწავლეთა სპეცი-
ალური ვარჯიშობა ზეპირად თარგმნაში თანამედროვე ტექნიკური
პარატურის გამოყენებით.

ლ ე ჭ ხ ი კ ა

ამ სკოლების მოსწავლეებმა 10 წლის განმავლობაში მტკი-
ცედ უნდა შეითვისონ 4500 სიტყვა და ფრაზეოლოგიური შესიტ-
ყვება, რათა პროგრამის მოთხოვნათა შესაბამისად პრაქტიკულად
დაეყუფლონ უცხო ენას.

სიტყვათა აღნიშნული რაოდენობა (მათ შორის ფრაზეოლო-
გიური შესიტყვებანი) მოსწავლეებმა ისე უნდა შეითვისონ, რომ
შესძლონ როგორც ტექსტში და საუბრისას მათი გაგება, ისე თა-
ვისუფლად ხმარება ზეპირ და წერით მეტყველებაში.

მოსწავლეებმა უნდა შესძლონ თითოეული სიტყვისა და ფრა-
ზეოლოგიური შესიტყვების:

- ა) სწორად წარმოოქმნა და წაკითხვა;
- ბ) კითხვისას და მოსმენით გაგება;
- გ) უცხო ენიდან დედაენაზე და დედაენიდან მათი შესატყვი-
სების პირუქუ თარგმნა;
- დ) სიტყვებისაგან პროგრამით გათვალისწინებული გრამატი-
კული ფორმების წარმოება;
- ე) მათი ხმარება სკოლაში შესწავლილ სხვა სიტყვებთან.

სიტყვების ახსნისას ყურადღება უნდა მიექცეს როგორც მათ
მნიშვნელობას და ხმარებას, ასევე მათ შემადგენლობას, ბევრით
მხარეს და გრაფიკულ ფორმას..

ლიტერატურის, გეოგრაფიის და ისტორიის უცხო ენაზე
სწავლების მეტი ეფექტურობისათვის აუცილებელია სწავლების
პირველი 4 წლის განმავლობაში მოსწავლეები თანდაოთანობით ეჩ-
ვეოდნენ უცხო ენაზე არა მარტო სიტყვების და გამოთქმების გავე-
ბას, არამედ ეცნობოდნენ ახალ ცნებებსაც. ამისათვის, სწავლების
პირველი 4 წლის განმავლობაში ლექსიკურ მინიმუმში შეტანილი
უნდა იქნას დიდი რაოდენობა ზოგადი ცნებების გამომხატველი

ისეთი სიტყვებისა, როგორიცაა „ცხოველები“, „საგნები“, „პირი“, „მცენარეები“ და სხვ.

შემდგომში უცხო ენაზე ლიტერატურის, ისტორიისა და გი-
ოგრაფიის შეთვისების გააღვილების მიზნით ასევე აუცილებელი
რომ უკვე V კლასიდან ენის სახელმძღვანელოებში განსაზღვრული
რაოდენობით იქნეს შეტანილი ლიტერატურული ისტორიული და
განსაკუთრებით გეოგრაფიულ თემატიკაზე აგებული აუცილებელი
ტერმინების შემცველი ფაბულიანი ტექსტები.

სწავლების მეორე ეტაპზე, ე. ი. V-დან VIII კლასის ჩათვლით
ხდება სიტყვათა მარაგის შემდგომი გაფართოება, რომელიც და-
კავშირებულია უფრო დიდი მოცულობით დამოუკიდებელ კითხვასა
და ახალი ცნებების შეთვისებასთან. სწავლების ამ ეტაპზე მნიშ-
ვნელოვანი კურადღება უნდა მიექცეს მუშაობას სიტყვათარმოება-
ზე და უცხო ენასა და დედაენაში საერთო ძირის სიტყვების დაღ-
ვნას, ასევე წინათ შესწავლილი სიტყვების სხვა მნიშვნელობათა
შესწავლას.

სწავლების დასასრულისათვის მოსწავლეებს ჭარმოდგენა უნ-
და პქონდეთ მეტყველების ორ სტილზე—სალაპარაკო და წიგნის
სტილზე და აგრეთვე ლექსიკის იმ თავისებურებებზე, რომლებიც და-
მახასიათებელია თითოეული მათგანისაფვის.

გ რ ა მ ა ტ ი კ ა

ამ ტიპის სკოლებში გრამატიკის სწავლება თვითმიზანს არ
ჭარმოდგენს. გრამატიკის როლი იმაში მდგომარეობს, რომ და-
ესმაროს მოსწავლეებს სხვისი შეტყველების ზუსტად გაგებაში. ტექ-
სტის კითხვასა და თავისი აზრის უცხო ენაზე სწორად გადმოცე-
მაში როგორც ზეპირ, ისე წერილობით ფორმაში. ამიტომ პროგ-
რამაში შეტანილია მხოლოდ ის მასალა, რომლის გარეშეც მოს-
წავლები ვერ შესძლებენ წერას, კითხვასა და ზეპირმეტყველების
ცოდნა-ჩვევების დაუფლებას თვითოეული კლასისათვის გათვალისწი-
ნებულ მოთხოვნათა ფარგლებში. გრამატიკული მასალა განაწილე-
ბულია პროგრამაში კლასების მიხედვით, იმ ცოდნა-ჩვევების გათ-
ვალისწინებით, რომელთაც უნდა დაეუფლონ მოსწავლეები.

იმისათვის, რომ X—XI კლასის მოსწავლეებმა შესძლონ ენის
თავისუფლად გამოყენება, გრამატიკული მასალის შესწავლა უნდა
დამთავრდეს IX კლასში.

პროგრამაში ყოველი კლასის „გრამატიკულ“ განყოფილებაში
შეტანილია მხოლოდ ის გრამატიკული მოვლენები, რომლებიც
პრცელდება სიტყვების მრავალრიცხოვან ჯგუფებზე. ეს მოვლენე-

ში სპეციალურად უნდა იქნეს შესწავლითი და განზოგადებული წესის სახით. მანამდე, სანამ ამა თუ იმ გრამატიკული მოვლენის განსაზოგადოებლად არ არის საქმარისი ლექსიკური მასალა, ისინ შეისწავლებიან, როგორც სიტყვის გრამატიკული ფორმები და მათ შემთხვევაში სიტყვების გრამატიკული ფორმები და კონსტრუქციები შეტანილია „ლექსიკის“ განყოფილებაში. სამეტყველო ერთეულებისა და სიტყვების ცალკეული ფორმების შემდგომი დაგროვების შემდეგ მომდევნო კლასებში ხდება მათი განსაზღვრება წესის სახით და „გრამატიკის“ განყოფილებაში შეტანა.

გრამატიკული მოვლენები, რომლებიც სიტყვათა ზოგიერთ ჯგუფზე ან მხოლოდ ცალკეულ სიტყვებზე ვრცელდება, დასწავლილი უნდა იქნეს. ზეპირად შესასწავლ სიტყვებთან ერთად, როგორც ამ სიტყვების ცალკეული ფორმები. სიტყვების ეს ფორმებიც შეტანილია „ლექსიკაში“.

სინტაქსის შესწავლისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ მოსწავლეებმა არა მარტო შეისწავლონ საერთო სტრუქტურული მოდელები, არამედ შეითვისონ აგრეთვე კონკრეტული შესაძლებელი ნიმუშებიც.

გრამატიკული მოვლენების ასენა უნდა ხდებოდეს ნაცნობ ლექსიკაზე. II, III და ნაწილობრივ IV კლასშიც მასალის ასენა და წესების ფორმულირება ძირითადად დედაენაზე უნდა ხდებოდეს. III კლასიდან საჭიროა შეტყველების ნაწილებისა და წინადადებების წევრების უცხო ენაზე დასახელების თანადათანობით შემოტანა, გას შემდეგ, როცა ეს ცნებები შესწავლილია დედაენაში. V კლასიდან კი აზალი გრამატიკული მოვლენების ასენა და წესების ჩამოყალიბება უნდა მოხდეს მხოლოდ უცხო ენაზე, რაც ხელს შეუწყობს თარგმნის გარეშე უცხო ენის გავების ჩვევის განვითარებას და გაზრდის უცხო ენის გამოყენების შესაძლებლობას აზალი ცოდნის ათვისებისა და აზალი ცნებების წარმოებისათვეის.

პროგრამით გათვალისწინებული ყველა გრამატიკული ფორმი და კონსტრუქცია მოსწავლეებში უნდა აითვისონ ისე, რომ შეეძლოთ:

ა) მათი მნიშვნელობის გაგება ტექსტის წაյითხვისა და უცხო ენაზე შეტყველების მოსმენისას;

ბ) მათი გამოყენება თავიანთი აზრების ზეპირად და წერილობით გადმოცემისას.

რაღაც გამომრება და სისტემატიზაცია მეთოდურ ხერხებს ჭარბობულ გენერატორებს, აშიტომ პროგრამაში ჩათ შესახებ არაფერია ნათ-

ქვემი. მასწავლებელმა პოთხოვნილებისდაგვარად უნდა მოახდინ რა ადრე შესწავლილი თემების ძირითადი საკითხების სისტემატიზაცია კი ამ მიზნით მან უნდა გამოიყენოს განმაზოგადებელი და მასზე დაფუძნებულები და სქემები.

ცონქტიკა, კითხვის შესები და ორთოგრაფია

კითხვისა და წარმოთქმის შესები მოსწავლეებმა უნდა აითვია სონ ისე, რომ შეეძლოთ:

ა) სწორად წარმოთქვეან და წაიკითხონ ყველა ის სიტყვა და შესიტყვება, რომელთა შესწავლა გათვალისწინებულია პროგრამით;

ბ) სწორად წარმოთქვეან და წაიკითხონ ყველა სიტყვა და შესიტყვება, რომელიც შესწავლილ წესებს ემორჩილება;

გ) სწორად წარმოთქვეან წინადადებები ხმამაღალი და ზეპირი შეტყველების დროს, ინტონაციის ძირითადი ნორმების დაცვით.

გარდა ამისა, მოსწავლეებმა უნდა იცოდნეს ყველა შესწავლი-ლი სიტყვის სწორად წერა.

შემაობა წარმოთქმის გასაუმჯობესებლად უნდა ტარდებოდეს უცხო ენის შესწავლის მთელი კურსის მანძილზე.

პ რ ტ ბ რ ა მ ა

უნარის მარა

II კლასი

პრატიკული ცოდნა-ჩვევები

I. გეპირმეტყველება

მოსწავლეებს უნდა შეეძლოთ:

ა) გაეცია საუბრისა, რომელიც შეეხება საქლასო ვითარებას და შეიცავს ბრძანებებს ან მასწავლებლის მოყლე თხრობას;

ბ) მასწავლებლის კითხვაზე მტკიცებითი და უარყოფითი პასუხის გაცემა კითხვაში მოცემული ლექსიკური ერთეულების სრული გამოყენებით;

გ) სხვადასხვა სახის კითხვების დასმა:

1. ხმის ამაღლებით (Tu finis?);

2. მარტივი ინკერსიის საშუალებით (Est-il malade?);

3. კითხვითი ქცევის—est ce que გამოყენებით.

დ) მასწავლებლის მიერ დასმული მისახვედრი კითხვების საფუძველზე საგრობრივი ხასიათის სურათების აღწერა და მათ მიმართ კითხვების დასმა;

ე) წინასწარ შომზადებული მოკლე ზეპირი ინფორმაციის გაცემება;

ვ) ლექსებიდან და დამუშავებული ტექსტებიდან პროზაული ნაწყვიტების ზეპირად წაყითხვა;

ზ) ზეპირ მეტყველებაში საარტიკულაციო წვევების დაცვა.

II. გამოთქმა

მოსწავლეებს უნდა შეეძლოთ:

1. წმინდა ხმოვნების [ɑ], [ɛ], [i], [æ], [Ø], [y], [ə], [o], [u] სწორად წარმოთქმა და:

ა) სამეტყველო ორგანოების მღვარმარეობის დაცვა ხმოვანი ბგერის წარმოთქმის დამთავრებაში;

ბ) ლია და დახურული შარტვლების მკეციალ განსხვავებულად წარმოთქმა;
გ) თანხმოვნების r, v, t წინ ხმოვანთა პოზიციური ექსიტაცია გამოიყოფა.

2. ცხვირისმიერი ბგერების სწორად წარმოთქმა.

3. თანხმოვნების [t-d], [f-v], [k-g], [s-z], [f-ʒ], [p-b], [m-n-l-r] სწორი წარმოთქმა ისე, რომ:

ა) არ წარმოთქვან რბილად თანხმოვნები ხმოვნის წინ;

ბ) მეღერი ბოლოთანხმოვნები არ წარმოთქვან ყრუდ.

4. ნიხვებისმოვნების .[j], [w] სწორად წარმოთქმა.

5. რიტმულ ჯგუფებში liaison-ის და enchaînement-ის დაცვა.

III. კითხვა

მოსწავლეებს უნდა შეეძლოთ:

ა) წესის შესაბამისად ასოსა და ბგერის შეფარდება;

ბ) მართლწარმოთქმის წესებშე დაყრდნობით უცნობი სიტყვების წაკითხვა;

გ) სწორი განითქმით ხმაშალი წაკითხვა იმ ტექსტებისა, რომლებსაც სწავლობენ.

IV. მართლწერა

მოსწავლეებს უნდა შეეძლოთ:

ა) ანბანის შესწავლითი ასოების დასახელება;

ბ) ასოების, ასოთშესამებების და სიტყვების მართლწერა;

გ) ხელნაწერისა და ბეჭდური ტექსტის გადაწერა;

დ) სიტყვებისა და მოკლე წინადადებების კარნაბით წერა.

კითხვისა და ზეპირმეტყვალების ჩვევების განვითარების სანიტუშო თემაზე იყენება.

1. სკოლა, სასწავლო ნიეთები, საქლასო ოთახის აღწერა, სკოლის ეზოსა და სკოლის ბალის აღწერა, გაკვეთილები, შრომა, თამაშობანი.

2. ჩენი სახლი, მისამართი, ჩენი ბინა.

3. ჩემი ოჯახი, თხრობა თავის თავზე და ამხანავებშე.

4. ჩემი დღე, ჩემი საყვარელი სათამაშოები, ჩემი საყვარელი თამაშობანი.

5. ჩემი ქალაქი, ჩემი სოფელი.

- შინაური ცხოველები (მსხვილფეხა საქონელი).
- კვირის დღეები და წლის დროები.

ლექსიკა

სიტყვათა მარაგი—350 სიტყვა და მყარი შესიტყვება. მათ
შორის:

1. ზმები არანაკლებ 50-სა (avoir, être, aller, appeler, apprendre, apporter, arriver, cacher, chanter, chercher, commencer, corriger, danser, deviner, donner, demander, dire, dîner, déjeuner, jouer, finir, habiter, écouter, écrire, entrer, faire, fermer, poser, jetet, lancer, lire, manger, mettre, montrer, ouvrir, prendre, passer [გადაცემა], trouver, parler, partir, répondre, répéter, revenir, réciter, sortir, voir).

ზმების უდლების ათვისება ხდება პრაქტიკულად (ულლების ნიმუშის გარეშე).

Présent-si მხოლობითი და მრავლობითი რიცხვის პირველი და მესამე პირი მტკიცებით ფორმაში, მხოლობითი და მრავლობითი რიცხვის მეორე პირი ძირითადად კითხვით ფორმაში.

ბ) Futur immédiat-s გამოყენება ყველაზე უფრო ტიპიურ შემთხვევებში: je vais apporter (demander, dire, déjeuner).

2. 6 ნაცვალსახელოვანი ზმა, ორმელიც პრაქტიკულად უნდა იქნეს ათვისებული:

Je m'appele—il s'appele; je me lève—il se lève;

Je me lave—il se lave; Je m'habille—il s'habille;

Je me mets—il se met; assieds-toi! asseyez-vous; lève-toi!, levez-vous!

3. 50-მდე მყარი შესიტყვება (aller à pied, comment allez-vous?, comment vas-tu?; avoir faim; prendre le métro (le tram, le trolleybus, l'autobus, jouer à la balle, jouer du piano; faire de la gymnastique, faire du bruit, faire un cadeau, faire la chambre; se mettre à table, au lit; être malade (absent, de service, prêt); quelle heure est-il? il est... heures; quel jour est-ce aujourd'hui? aujourd'hui, c'est dimanche; quel âge as-tu? j'ai... ans; en hiver, en été, au printemps, en automne; il fait chaud, il fait froid, il fait beau; il pleut; bonjour, au revoir, bonne nuit; bon appétit, merci, pardon, s'il vous plaît, s'il te plaît).

4. 4 ზნიზედა: vite, bien, mal, très.

5. 31-მდე ოვლა.

6. 35-მდე დამხმარე სიტყვა:



je, tu, il, elle, nous, vous, ils, elles; mon, ma, mes, ton,
ta, tes, son, sa, ses, ce, cet cette, ces;

განსაზღვრული ორტიკლები: le, la, les, au, aux, du, des.
განუსაზღვრელი ორტიკლები: un, une, des.

წინდებულები: à, de, avec, sans, sur, sous;
კავშირი et; კითხვითი სიტყვა qui.

დანარჩენი სიტყვები ძირითადად საგნის აღმნიშვნელი ორ-
სებითი სახელებია, რომლებიც შერჩეული იქნება თემატიკის მი-
ხედით.

III კლასი

პრაქტიკული ცოდნა-ჩვევები

1. ჰებირული ტერმინები

II კლასში შეთვისებული მასალა განუწყვეტლივ აქტიურდება.
და შეძლებისდაგვარად რთულდება.

მოსწავლეებს უნდა შეეძლოთ:

ა) მასწავლებლის საუბრის, მოკლე მოთხოვობებისა და შარ-
ტივი განმარტებების გაგება;

ბ) მასწავლებლის მიერ დასმულ კითხებზე დადებითი ან
უარყოფითი პასუხის გაცემა (Prends tu ce livre? Oui, je le
prends);

გ) კითხვითი სიტყვებისა და კონსტრუქციების გამოყენებით
(qui, que, qu'est-ce que, pourquoi, qu'y a t'il, quel, quand, com-
ment, où, d'où) მასწავლებლის მიერ დასმულ კითხებზე პასუხის-
გაცემა;

დ) კითხვითი სიტყვებით და კითხვითი სიტყვების გარეშე
კითხების დასმა;

ე) თემატიკური სურათის აღწერა მისახვედრი კითხების
გარეშე;

ვ) პატარა ამბის (ცნობის) ზეპირი თხრობა მომზადების კა-
რეშე და წინასწარი მომზადებით;

ზ) ლექსების, ნასწავლი ტექსტის დასწავლილი ნაწყვიტებისა
და დიალოგების ზეპირად თქმა;

თ) ორტიკულაციის ჩეკვების დაცვა ზეპირმეტყველებაში.

II. გამოთქმა

მოსწავლეებს უნდა შეეძლოთ:

1. ნახევარხმოვნების [w] და [y] გამოთქმა.

2. წინადადების რითმულ ჯგუფებად დაყოფა enchainementისა და საერთო ლიაზონის დაცვით.
3. ობრობით და კითხვით წინადადებებში სწორი ინტონაცია უკრაინული სიმღერითი ენა.
4. რიცხვითი სახელების დამოუკიდებლად და არსებით სახელთან ერთად წარმოთქმა 10 მდე.

III. კითხვა

მოსწავლეებს უნდა შეეძლოთ:

- ასოს და ბგერის, ასოთშეხამებისა და ბგერის შეფარდება ნორმების თანახმად;
- ასოს წავითხვის განსხვავება სიტყვაში მისი პოზიციის შესაბამისად;
- შესწავლითი ტექსტის ხმამაღლი კითხვა გამოთქმით;
- განველილ მასალაზე აგებული ტექსტის ულექსიკონიდ თარგმანი და სწორი გამოთქმითა და ინტონაციით ხმამაღლი კითხვა.

IV. მართლწერა

მოსწავლეებს უნდა შეეძლოთ:

- წინადადების კარხახით წერა;
- წერილობით კითხვების დასმა და მათზე პასუბის გაცემა (კითხვები სურათებისა და თემების მიხედვით).

კითხვისა და ზეპირშეტყველების ჩვევების განვითარების
